

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის

06 5.02. 2018 ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი"
პროფესიული საგანმანათლებლო მოდულური პროგრამა

იატაკისა და ფილის სამუშაოები მესამე საფეხური

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 106

ტელეფონი: T- 365 2 2 11 03 ; T-599172005 ; 365 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებ გვერდი: www.profkoleji-opizari.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: ოქრომელიძე გიორგი, სარაშვილი რევაზ.

1. პროგრამის სახელწოდება - იატაკისა და ფილის სამუშაოები

2. სარეგისტრაციო ნომერი - 07317-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით მიეკუთვნება დეტალურ სფეროს „მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია“, კოდი: 0732

4. მიზანი

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მშენებლობის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. კერძოდ იატაკისა და ფილის სამუშაოების შესასრულებლად.

5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: საბაზო განათლება

6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

იატაკისა და ფილის სამუშაოებში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შეიძლება დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია ან/და დახურულ სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასა ან მის რეკონსტრუქცია-გადლიერებასთან. მას სამუშაოების შესრულება მოუწევს სხვადასხვა კლიმატის პირობებში.

დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: სხვადასხვა სახის იატაკის მომწყობი; მომპირკეთებელი; ფილის დამგები; სამუშაო რგოლის უფროსი; ბრიგადის უფროსი.

7. სტრუქტურა და მოდულები

კვალიფიკაცია „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მოიცავს 8 სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 53 კრედიტის ოდენობით. იატაკისა და ფილის სამუშაოებში მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **77** კრედიტი.

პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს „გაცნობითი პრაქტიკის“ სახით. გაცნობითი პრაქტიკის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა სამშენებლო სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, სასურველია, დაიგეგმოს შემდეგი თანმიმდევრობით: ზოგადი მოდულები, საერთო სავალდებულო პროფესიული მოდულები, შემდეგ კი თითოეული კვალიფიკაციის შესაბამისად განსაზღვრულ კონცენტრაციებში მოცემული პროფესიული მოდულები.

8. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა

მოცულობა: 77 კრედიტი

- სავარაუდო ხანგრძლივობა: 13,86 სასწავლო თვე
არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 92 კრედიტი
სავარაუდო ხანგრძლივობა: 16,56 სასწავლო თვე

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება	2
4	სამოქალაქო განათლება	საბაზო განათლება	2
5	მეწარმეობა 1	საბაზო განათლება	2
6	უცხოური ენა	საბაზო განათლება	4
ჯამი:			16
საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა		1
2	მშენებლობის საფუძვლები		1
3	სამშენებლო ნახაზების კითხვა		3
4	სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება	სამშენებლო ნახაზების კითხვა	3
ჯამი:			8
მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ვინილისა ტიპის და რბილი იატაკის ზედაპირის მოჭიმვა	სამშენებლო ნახაზების კითხვა	5
2	ბეტონისა და პოლიმერული სამრეწველო იატაკის მოჭიმვა	სამშენებლო ნახაზების კითხვა	8
3	სხვადასხვა სახის იატაკის დაგება (ლამინირებული, ხის)		8
4	ფილის დამუშავება	სამშენებლო ნახაზების კითხვა	4
5	კედლის და იატაკის მომზადება ფილებით მოპირკეთებისათვის	სამშენებლო ნახაზების კითხვა	6
6	კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით	სამშენებლო ნახაზების კითხვა ფილის დამუშავება კედლის და იატაკის მომზადება ფილებით	8

		მოპირკეთებისათვის	
7	ზედაპირის მოპირკეთება მოზაიკური ფილებით	სამშენებლო ნახაზების კითხვა ფილის დამუშავება კედლის და იატაკის მომზადება ფილებით მოპირკეთებისათვის	6
8	მეტლახის/გრანიტის იატაკის დაგება	სამშენებლო ნახაზების კითხვა	8
	ჯამი		53

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები

საერთო სწავლის შედეგები ყველა კვალიფიკაციისთვის:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
2. დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
3. წაიკითხოს/გაარჩიოს სამშენებლო ნახაზები ტექნოლოგიური პროცესების შესასრულებლად;
4. შეასრულოს სადემონტაჟო სამუშაოები კონსტრუქციული სქემის შესაბამისად;
5. უზრუნველყოს სამშენებლო მასალების შენარჩუნება მეორეული გამოყენებისათვის

სწავლის შედეგები - იატაკისა და ფილის სამუშაოები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. მოაწყოს სამუშაო ადგილი/უბანი/ფრონტი;
2. მოამზადოს იატაკი და კედელი მოსაპირკეთებლად;
3. დაახარისხოს/დაჭრას ფილები სხვადასხვა ფორმებად;
4. მოამზადოს დულაბი და წებო-ცემენტის ნაზავი ფილებისა და მოზაიკური ფილები დასაგებად;
5. დაამუშაოს/მოაპირკეთოს გამშრალი დულაბი და ქვიშა-ცემენტის ხსნარით დამზადებული იატაკი;
6. დააგოს სხვადასხვა ზედაპირის იატაკი.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საგანმანათლებლო დაწესებულებამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არა უმეტეს 20%-ისა.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება ყველა სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- ბ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

11.მესამე საფეხურის პროგრამებში: „მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/წ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“;

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO – 2008);

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISED – 2013);

პროფესიული სტანდარტები;

- პროფესიული სტანდარტი - იატაკის მომწყობი;
- პროფესიული სტანდარტი - მებათქაშე;
- პროფესიული სტანდარტი - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მემონტაჟე;
- პროფესიული სტანდარტი - რკინაბეტონის სამუშაოთა შემსრულებელი (მეყალიბე, მემარმატურე, მებეტონე);
- პროფესიული სტანდარტი - სამშენებლო კონსტრუქციების მემონტაჟე;
- პროფესიული სტანდარტი - კალატოზი;
- პროფესიული სტანდარტი - ფილამწყობი;
- პროფესიული სტანდარტი - მღებავი.

პროგრამის განმახორციელებელი: სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი"

პროგრამის განხორციელებისათვის დადებულია ხელშეკრულებები :

1. ხელშეკრულება N33-ა, 30.01.2018 კომპანია შ.პ.ს. „ნეოპროჯექტი“. ქ. ახალციხე სულხან-საბას 13.